სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 **თებერვალი, 2026 წელი**

ბრძანება №01-02/34

ბსუ-ს მოკლევადიანი პროგრამის **მსმენელთან** გასაფორმებელი **ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის №01-3/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმების" (№1 დანართი), საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით (მათ შორის უწყვეტი სამედიცინო განათლების) **მოკლევადიანი** საგანმანათლებლო **პროგრამის მსმენელებთან** გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 22 ივნისის №01-02/146 ბრძანება.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ველებში: „რექტორის ბრძანებები", „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები" , ასევე ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში (მარეგულირებელი აქტების ველში).
4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და ამავე ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებების კოორდინატორებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ს მოკლევადიანი პროგრამის მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 **თებერვლის №01-02/**34 **ბრძანების №1 დანართი**

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი **----------, ---- წელი**

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში - **,,ბსუ**“ ან ,,უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი ბსუ-ს რექტორის _____ მიერ და მეორე მხრივ, _____ (შემდეგში - **,,მსმენელი“), ვთანხმდებით შემდეგზე:**

1. **ხელშეკრულების საგანია** მსმენელის მიერ ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის **,,**----------**„** (მოცულობა/ხანგრძლივობა- ----- საათი/, დამტკიცებული **ბსუ-ს რექტორის ---------- ---- წლის ---------- №---------- ბრძანებით;** შემდეგში - **„პროგრამა“)** <u>გავლასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის რეგულაცია.</u>

2. **პროგრამაზე სწავლის საფასური** (მსმენელის შემადგენლობით ჯგუფში) ერთი მსმენელისათვის შეადგენს ..... ლარს (საფუძველი: ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება №....., ... წ.**).** მსმენელის სწავლის საფასური უნდა ჩაირიცხოს ბსუ-ს ანგარიშზე (ბანკის კოდი - TRESGE 22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709017263), ბსუ-ს მიერ დადგენილი სწავლის საფასურის გადახდის წესის (ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის) შესაბამისად.

3. **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:**

3.1. ,,უნივერსიტეტის“ უფლებებია:

ა) განსაზღვროს პროგრამაზე სწავლის განრიგი, მათ შორის მიმდინარე/დასკვნითი შეფასების ჩატარების წესი და დრო, შეიტანოს ცვლილებები სწავლის საორგანიზაციო პროცედურებში (შესაბამისი ცვლილების შესახებ მსმენელის ინფორმირებით);

ბ) არ დაუშვას მსმენელი პროგრამის სასწავლო პროცესში (შეუწყვიტოს მსმენელის სტატუსი/ამორიცხოს მსმენელთა ჯგუფიდან) ან/და არ გასცეს პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი (მოწმობა), თუ მსმენელი არ შეასრულებს პროგრამის მოთხოვნებს ან/და ამ ხელშეკრულების პირობებს;

გ) დაამუშაოს მსმენელის პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მოთხოვნათა დაცვით, <u>ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული</u> საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში კანონიერი საჭიროების და <u>მსმენელის</u> <u>თანხმობ</u>ის გათვალისწინებით.

3.2. „უნივერსიტეტი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო პროცესი შესაბამისი პერსონალით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

ბ) შეუქმნას მსმენელს პროგრამის გავლისათვის (სწავლისათვის) შესაბამისი პირობები (გააცნოს პროგრამის შინაარსი, სასწავლო ცხრილი, პერსონალი, რეგულაციები);

გ) პროგრამის გავლის/ათვისების შედეგების გათვალისწინებით და ამ ხელშეკრულების პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში გასცეს მსმენელზე სერტიფიკატი (მოწმობა/ცნობა), პროგრამით დადგენილი წესის და რექტორის ბრძანების შესაბამისად.

3.3. მსმენელის უფლებებია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე და ხელმოწერამდე გაეცნოს ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ რეგულაციებს და პროგრამას;
ბ) მიიღოს პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის პროგრამის კოორდინატორისგან/ხელმძღვანელისგან/პერსონალისგან - კონსულტაციები პროგრამის შინაარსზე და საორგანიზაციო საკითხებზე, ასევე მიიღოს პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი (მოწმობა/ცნობა), პროგრამით დადგენილი წესის და რექტორის ბრძანების შესაბამისად;
გ) პროგრამაზე სწავლის მიზნით ისარგებლოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოში;
დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს რეგულაციებით განსაზღვრული მსმენელის უფლებებით.

3.4. **„მსმენელი“ ვალდებულია:**
ა) მიიღოს პროგრამის სასწავლო პროცესში მონაწილეობა, პროგრამის შინაარსის (მოთხოვნების) და უნივერსიტეტში დადგენილი სასწავლო განრიგის შესაბამისად;
ბ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, არ დაუშვას უნივერსიტეტის შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა;
გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები, დაიცვას ეთიკის კოდექსი და ბსუ-ს შინაგანაწესის მოთხოვნები.

3.5. „მსმენელი“ აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის გაცნობილია ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს შინაგანაწესს (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას (ბსუ-ს რეგულაციები განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge, ველში „იურიდიული ცნობარი“).

3.6. **მსმენელი აცხადებს თანხმობას,** უნივერსიტეტის მიერ დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები, ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში საჭიროების გათვალისწინებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მოთხოვნათა დაცვით.

4. „მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები“:

„ბსუ”	**„მსმენელი”**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _____
მიმართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ ნინოშვილის ქ. №32/35	პირადი № _____
ს/კ: 245428158	მისამართი _____
	_____
ელფოსტა: info@bsu.edu.ge	ტელეფონი _____
ბსუ-ს რექტორი	ელ. ფოსტა _____
----------	მსმენელის ხელმოწერა _____
(ხელმოწერა)	